ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 12
26/01/2018

12-08-4-201801261713

განკარგულება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის რეორგანიზაციის განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106[I] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების (ს/კ 242008830), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების (ს/კ 242009027), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეის (ს/კ 441994825) რეორგანიზაციის (გაერთიანება) განხორციელებაზე და რეორგანიზაციის შედეგად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის დაფუძნებაზე.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა